

ა(ა)იპ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია

გამგეობის სხდომის

ოქმი №3

12.10.2016 წ.

ქ. თბილისი

**ესწრებოდნენ:** გამგეობის წევრები: ახოზაძე ოთარი, აჯიაშვილი მეგი, ლომსაძე დავითი, ოქრომჭედლიშვილი ალექსანდრე. სხდომას ესწრებოდა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი იური პაპასქუა და ფედერაციის დამფუძნებელი წევრი აფრიდონიძე ელგუჯა.

**თავმჯდომარეობდა** ელგუჯა აფრიდონიძე

**მდივანი:** დავით ლომსაძე

**დღის წესრიგი:**

1. ფედერაციაში წევრების მიღების და წევრთა სტატუსის აღდგენის შესახებ;
2. ფედერაციის კომიტეტების დებულებების ახალი რედაქციის დამტკიცება;
3. IFAC-ის მიერ მიღებული ეთიკის კოდექსის, განათლების და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების აღიარება სახელმძღვანელოდ;

**მოისმინეს:** ელგუჯა აფრიდონიძის ინფორმაცია ფედერაციაში წევრების მიღების და წევრთა სტატუსის აღდგენის შესახებ;

**აღნიშნა:** „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტური საქმიანობის შესახებ“ კანონის მიღებამდე, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის სტატუსის არსებობის გამო, გარდა ბაფ-ისა, სხვა პროფესიული ორგანიზაციები არ იყო აღიარებული. ამდენად, ისინი სრულფასოვან საქმიანობას ვერ ახორციელებდნენ და მხოლოდ ოპონენტის ფუნქციებს ასრულებდნენ. ამასთან, აუდიტორებს მოეთხოვებოდათ აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციაში გაწევრიანება. აღნიშნულის გამო, ჩვენი მხრიდან ფედერაციის წევრებთან შენედა კონტაქტი და წევრებმაც შეწყვიტეს აქტიურობა.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტური საქმიანობის შესახებ“ კანონის მიღების შემდგომ ვითარება არსებითად შეიცვალა. პროფესიული ორგანიზაციების სტატუსი გათანაბრდა და სერტიფიცირებული აუდიტორების მნიშვნელოვანმა ნაწილმა კვლავ არჩია ჩვენთან ურთიერთობის გაგრძელება. ჩვენს ფედერაციაში გაწევრიანების სურვილს გამოხატავენ ბუღალტრებიც და აგრეთვე იურიდიული პირები.

დღეის მდგომარეობით, გარდა ფედერაციის დამფუძნებლებისა, რომლებიც ამავდროულად ფედერაციის წევრები არიან, პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიერ სერტიფიცირებული **173** სერტიფიცირებული ბუღალტრებისგან

(აუდიტორებისგან), **25** არასერტიფიცირებული ბუღალტრისგან და **37** აუდიტორული კომპანიისგან ფედერაციის გამგეობის სახელზე შემოსულია განცხადებები წევრობის აღდგენის და წევრად მიღებისა შესახებ. წევრობის კომიტეტის მიერ მომზადებულია კატეგორიების მიხედვით განმცხადებელთა სია და რეკომენდაციას იძლევიან მათ გაწევრიანებაზე.

გამგეობის წევრები გაეცნენ განმცხადებელთა ჩამონათვალს.

**აზრი გამოთქვას:** ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა, დავით ლომსაძემ, რომლებმაც მოიწონეს ასეთი აქტივოვა და გამოთქვეს მოსაზრება მათი განცხადებების დაკმაყოფილების თაობაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

### **დაადგინეს:**

1. დაკმაყოფილდეს ფედერაციის წევრობაზე შემოსული განცხადებები და მიენიჭოთ მათ ფედერაციის წევრის სტატუსი თანდართული ჩამონათვალის შესაბამისად;

**მოისმინეს:** ელგუჯა აფრიდონიძის ინფორმაცია ფედერაციის კომიტეტების დებულებების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ;

**აღინიშნა:** „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტური საქმიანობის შესახებ“ კანონის და ფედერაციის წესდების ახალი რედაქციის მიღების შემდგომ შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით, ფედერაციის კომიტეტების შემადგენლობა და მათი დებულებები მიზანშეწონილია გადახალისდეს. წარმოდგენილია წესდების შესაბამისად განსაზღვრული კომიტეტების დებულებების ახალი რედაქციები და საჭიროა მივიღოთ ისინი სახელმძღვანელოდ.

**აზრი გამოთქვას:** ოთარ ახოზაძემ, მეგი აჯიაშვილმა, ლექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა, დავით ლომსაძემ, რომლებმაც მოიწონეს კომიტეტის დებულებებში შესული ცვლილებები და გამოთქვეს მოსაზრება კენჭი ეყაროს მათ დამტკიცებას.

კენჭი ეყარა წინადადებას.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

### **გადაწყდა:**

- დატკიცდეს ფედერაციის, წევრობის, პროფესიული ეთიკის და დისციპლინარული, ხარისხის მონიტორინგის და კონტროლის, განათლებისა და სერტიფიცირების, სტანდარტების და პრაქტიკის, საგადასახადო საკითხთა კომიტეტების დებულებები თანდართული რედაქციით.

**2. მოისმინეს:** ელგუჯა აფრიდონიძის ინფორმაცია ეთიკის კოდექსის, განათლების და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების მიღების შესახებ.

**აღნიშნა:** IFAC-ის მიერ მიღებული ეთიკის კოდექსი, განათლების და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელი დოკუმენტებია ფედერაციის ფუნქციონირებისთვის. აქედან, ეთიკის კოდექსი „სახელმძღვანელო მცირე და საშუალო ზომის აუდიტურ ფირმებში ხარისხის კონტროლის დანერგვის შესახებ“ და პროფესიონალი ბუღალტრის განათლების შესახებ 7 სტანდარტი ბაფ-ის მიერ თარგმნილია ქართულ ენაზე, ხოლო განათლების და ხარისხის კონტროლის სხვა საერთაშორისო სტანდარტები ჩვენთვის ხელმისაწვდომია ორიგინალში და რუსულ ენაზე. არის მოსაზრება, რომ აღნიშნული დოკუმენტები ვაღიაროთ და მივიღოთ სახელმძღვანელოდ არსებული სახით.

**აზრი გამოთქვს:** იური პაპასქუამ, მეგი აჯიაშვილმა, ლექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა, დავით ლომსაძემ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მოსაზრებას ეთიკის კოდექსის, განათლების და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების აღიარებას და მიღებას სახელმძღვანელოდ არსებული სახით.

კენჭი ეყარა წინადადებას.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**გადაწყდა:** საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია აღიარებს IFAC-ის მიერ მიღებულ ეთიკის კოდექსს, განათლების და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს და ღებულობს სახელმძღვანელოდ არსებული სახით.

### **დაადგინეს:**

1. დაკმაყოფილდეს ფედერაციის წევრობაზე შემოსული განცხადებები და მიენიჭოთ მათ ფედერაციის წევრის სტატუსი თანდართული ჩამონათვალის შესაბამისად;

1.1. ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორს დაევალოს:

1.1.1. აცნობოს ფედერაციაში გაწევრიანებულ პირებს მათი სტატუსის შესახებ;

1.1.2. ფედერაციის ვებგვერდზე განათავსოს ფედერაციის წევრთა რეესტრი მოთხოვნილი ფორმითა და პირობების შესაბამისად.

2. დამტკიცდეს ფედერაციის წევრობის, პროფესიული ეთიკის და დისციპლინარული, ხარისხის მონიტორინგის და კონტროლის, განათლებისა და

სერტიფიცირების, სტანდარტების და პრაქტიკის, საგადასახადო საკითხთა კომიტეტების დებულებები თანდართული რედაქციით.

3. საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია აღიარებს IFAC-ის მიერ მიღებულ ეთიკის კოდექსს, განათლების და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს და ღებულობს სახელმძღვანელოდ არსებული სახით.

4. ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორს დაევალოს:

4.1. აცნობოს ფედერაციაში გაწევრიანებულ პირებს მათი სტატუსის შესახებ;

4.2. ფედერაციის ვებგვერდზე განათავსოს ფედერაციის წევრთა რეესტრი მოთხოვნილი ფორმითა და პირობების შესაბამისად;

4.3. განათავსოს ფედერაციის ვებგვერდზე წევრობის, პროფესიული ეთიკის და დისციპლინარული, ხარისხის მონიტორინგის და კონტროლის, განათლებისა და სერტიფიცირების, სტანდარტების და პრაქტიკის, საგადასახადო საკითხთა კომიტეტების დებულებები თანდართული რედაქციით;

4.4. ფედერაციის ვებგვერდის მეშვეობით ეცნობოს წევრებს IFAC-ის მიერ მიღებული ეთიკის კოდექსის, განათლების და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების აღიარების და არსებული სახით სახელმძღვანელოდ მიღების თაობაზე;

4.5. განათავსოს ფედერაციის ვებგვერდზე IFAC-ის მიერ მიღებული ეთიკის კოდექსი, განათლების და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები ორიგინალში, ქართული თარგმანები და რუსულ ენაზე (ხელმისაწვდომობისა და აღქმადობის მიზნით);

5. დანართები:

5.1. ფედერაციის წევრი სერტიფიცირებული, არასერტიფიცირებული და იურიდიული პირების ჩამონათვალი;

5.2. ფედერაციის წევრობის, პროფესიული ეთიკის და დისციპლინარული, ხარისხის მონიტორინგის და კონტროლის, განათლებისა და სერტიფიცირების, სტანდარტების და პრაქტიკის, საგადასახადო საკითხთა კომიტეტების დებულებები;

5.3. IFAC-ის მიერ მიღებული ეთიკის კოდექსი, განათლების და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები ორიგინალში, ქართული თარგმანები და რუსულ ენაზე.

სხდომის თავმჯდომარე

მდივანი:

ელგუჯა აფრიდონიძე

დავით ლომსაძე

